ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95262432**

თარიღი:**31/08/2026**

2026 წელს მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე და 54-ე მუხლების, ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში, სპორტის მხარდაჭერის, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობის, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.განისაზღვროს 2026 წლის მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს გაცემის წესი, დანართი №1-ის შესაბამისად.

2.განისაზღვროს ფულადი ჯილდოს ოდენობები, საპრიზო ადგილების მიხედვით, დანართი №2-ის შესაბამისად.

3.საქართველოს ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში, სპორტსმენსა და მის პირად მწვრთნელს მიეცეთ ერთჯერადი ფულადი ჯილდო, ამ განკარგულებით დამტკიცებული დანართი №2-ით შესაბამისი საპრიზო ადგილისათვის განსაზღვრული ოდენობის შესაბამისად.

4.განკარგულებით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო გაიცეს 2026 წელს საქართველოს ჩემპიონატში მიღწეული სპორტული შედეგებისათვის, მათ შორის, იმ სპორტული შედეგებისათვის, რომლებიც მიღწეულია ამ განკარგულების ამოქმედებამდე.

5.2026 წელს სხვა სპორტულ ღონისძიებებში, ტურნირებსა და ჩემპიონატებში მიღწეული სპორტული შედეგებისათვის ფულადი ჯილდო გაიცეს ამ განკარგულებით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრული პირობებისა და ოდენობების შესაბამისად, მათ შორის, იმ სპორტული შედეგებისათვის, რომლებიც მიღწეულია ამ განკარგულების ამოქმედებამდე.

6.განკარგულებით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოების გაცემა განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის შესაბამისი 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამის/ქვეპროგრამის საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში.

7.ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოების გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

8.ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 01 აგვისტოს №გ-95.95252133 განკარგულება.

9.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს - მამუკა თურმანიძეს.

10.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

11.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358).

12.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი